



შპს ორიენტირი

პროფესიული სტუდენტის
გზამკვლევი

თბილისი

2019

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ. თბილისი, ც. დადიანის 26
 ტელ: +995 577-78-47-46
 ტელ: 032 2695115
 ვებ გვერდი: www.orientiri.edu.ge
 ელ.ფოსტა: info@orientiri.edu.ge



!!!!!!!!!!!!

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი შექმნილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესების, მათი ინფორმირებულობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „ შპს ორიენტირი“ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით პროფესიების მსურველი პირებისთვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის გამჭვირვალე პროცედურები.

შპს ორიენტირის მისია

კოლეჯის მისიას წარმოადგენს სამედიცინო, განათლებისა და ბიზნესის სექტორში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის მაღალ დონეზე რეალიზებული ადამიანური რესურსის მომზადება, რომელიც შეძლებს განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა თანამედროვე სამყაროში.



პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტაცია

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით. კონკურსის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ განისაზღვრება დამატებითი პირობა.

კოლეჯის დირექტორი ბრძანებით აცხადებს მიღებას კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით - ბრძანებით,

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა და ვადების შესახებ, კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში განისაზღვრება შემდეგი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება, სწავლის საფასური, თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე ადგილების რაოდენობა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
- ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი);
- გ) საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ან სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე;

საზღვარგარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში წინამდებარე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პირი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა შიდა სამართლებრივი აქტი - ბრძანება და ფორმდება მასთან სასწავლო ხელშეკრულება, თუკი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მფლობელი პირი არასრულწლოვანია, სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება მის კანონიერ წარმომადგენელთან.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემისა და მასთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 5 დღის ვადაში შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში, კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულეზზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეუჩერება

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება კოლეჯის და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) უცხოეთში წასვლა;
- გ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;
- დ) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;
- ე) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
- ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
- ზ) მძიმე ავადმყოფობა;
- თ) ორსულობისა და ახალშობილის მოვლა;
- ი) კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი გადაცდომის ჩადენა;
- კ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ბრძანების ასლი უნდა გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს (სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს).

იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ დგინდება პროფესიული სტუდენტის ადგილსამყოფელი, ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, მათ შორის, კოლეჯის ვებ-გვერდის მეშვეობით.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;

სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის;

პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, კოლეჯი უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამსაშუაო დღეში.

პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სასწავლო პროცესში დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა აღმოფხვრილი ის გარემოებები, რომლებიც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრილი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა გულისხმობს პირის სასწავლო პროცესში მონაწილეობისაგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლებება-მოვალეობებისაგან განთავისუფლებას.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) საგნობრივი ან მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- გ) მოდულური ან საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობა აკადემიური მოუსწრებლობის გამო.
- დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით;
- ე) დაწესებულების შინაგანაწესის განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
- ვ) გარდაცვალება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

ბრძანების ასლი უნდა გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს (სტატუს შეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტს ან მის წარმომადგენელს).

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

პირს, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას კოლეჯი უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან ხუთ სამუშაო დღეში;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული სტუდენტის მობილობა

კოლეჯში მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა კოლეჯში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

მობილობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ამის შესახებ პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

მობილობის მსურველმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯს, რასაც თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადი საქმე;

ბ) ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული/ადიარებული კრედიტების შესახებ ან პროფესიული სტუდენტის ბარათი, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

მობილობის განხორციელებამდე მოწმდება პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობა დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რის საფუძველზეც განიხილება გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადიარების შესაძლებლობის საკითხი.

მოდულური პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და დაწესებულება ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს/სწავლის შედეგებს;

მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

პროფესიული სტუდენტის მობილობის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი საგნობრივი პროგრამისთვის

საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ძირითადი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამებისთვის

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კრედიტის მინიჭება ხდება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე.

შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით.

სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება.

განმსაზღვრელი შეფასებისას სწავლის შედეგის ვერ დადასტურებისას ერთი კვირის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე მაქსიმუმ 2-ჯერ.

ერთიდაიგივე მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგის დაუდასტურებლობისას (2-ჯერ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ), პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოცემული მოდული.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში (მათ შორის დამატებით გამოცდაზე/ებზე) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თავიდან გაიაროს მოცემული მოდული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, თუკი ის მოდული რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულებისათვის.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

- ა) კოლეჯის შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;
- ბ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის გამოყოფას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე.
- ვ) კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.

პროფესიული სტუდენტის ქცევის ზოგადი წესები

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს შპს ორიენტირის შინაგანწესით განსაზღვრულ ქცევის ზოგად წესებს.

კოლეჯის პროფესიული სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობა

დისციპლინარულ გადაცდომად მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის მიერ შპს ორიენტირის შინაგანწესით, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, ასევე სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების სამჯერ ან მეტჯერ ზედიზედ გაცნობიერებული დარღვევა.

შპს ორიენტირის შინაგანწესით განსაზღვრული დისციპლინარული გადაცდომის ჩადენისას პროფესიული სტუდენტის მიმართ შესაძლებელია დაიწყოს დისციპლინური წარმოება.

პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული ან განხორციელებადი დისციპლინური წარმოება არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე პირებისთვის პროფესიული სტუდენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

პროფესიული სტუდენტის უფლებებში შეზღუდვა დაუშვებელია, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ დებულებით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისაკენ.

დისციპლინური საქმის წარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია შექმნას კომისია, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

- ა) პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინარული დევნის შეწყვეტის შესახებ;
- ბ) პროფესიული სტუდენტისათვის გაფრთხილების მიცემის შესახებ;
- გ) პროფესიული სტუდენტისათვის საკომპენსაციო ჯარიმის დაკისრების შესახებ; (აღნიშნული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის გადაცდომის შედეგად კოლეჯს მიადგა ქონებრივი ზიანი)
- დ) პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესიდან განსაზღვრული ვადით ჩამოშორების შესახებ;
- ე) გადაცდომის ჩამდენისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ - ისეთი სახის გადაცდომის ჩადენისას, რომელიც ხელს უშლის კოლეჯში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

განსაკუთრებით მძიმე გადაცდომად მიიჩნევა დამრღვევი პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით დაკავშირებული პირის მიმართ პიროვნული ღირსების საჯაროდ შეურაცხყოფა, რომელიც აგრესიული ხასიათით გამოირჩეოდა.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

სტუდენტური თვითმმართველობა

პროფესიული სტუდენტების უფლებების, ინტერესების, კულტურული, ინტელექტუალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისა და რეალიზების მიზნით ორიენტირში არსებული პროფესიული სტუდენტების მიერ იქმნება ავტონომიური ორგანო - სტუდენტური თვითმმართველობა.

ორიენტირის სტუდენტური თვითმმართველობა უშუალოდ მონაწილეობს ორიენტირის მიერ წარმართული ყოველდღიური საქმიანობის, სწავლა-სწავლების პროცესის დახვეწა/განვითარებაში.

სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება ხორციელდება ორიენტირის მიერ განხორციელებული პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ.

სტუდენტურ თვითმმართველობას ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომლის არჩევაც ხორციელდება ღია და საჯარო არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრის ფორმით, სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მიერ, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით.

სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის კანდიდატურის წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს.

სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ორიენტირის ყველა პროფესიულ სტუდენტს.

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია:

- ა) შეიმუშავოს წინადადება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, ორიენტირის ადმინისტრაციული საქმიანობის ან/და სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით;

ბ) წამოაყენოს წინადადება პრაქტიკული, კულტურული ან სპორტული ღონისძიების ორგანიზებისა ან უკვე ორგანიზებული ღონისძიების მხარდაჭერის თაობაზე.

სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება თავად თვითმმართველობის მიერ.

ორიენტირის მენეჯმენტი უფლებამოსილია მიიღოს და დააფინანსოს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წამოყენებული პროექტი, ან გამოყოს დაფინანსება, რომლის განკარგვა თვითმმართველობას შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით შემუშავებული პროექტის დასაფინანსებლად.

ორიენტირის არც ერთ სტრუქტურულ ერთეულს უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია კოლეჯის ვებ გვერდზე:
collejeorientiri.edu.ge

წარმატებები ორიენტირის პროფესიულ სტუდენტებს!!!!!!!!!!!!

